საქართველოს მთავრობის განკარგულება

№882 2015 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“
მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ
შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი №404947475) მიერ სერიალ ,,ტიფლისის“ მეორე სეზონისა და მასთან ერთად, ახალი ისტორიული ჟანრის მხატვრული მრავალსერიანი ფილმის „ქერჩის“ გადაღების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელოს შპს „ჯი-დი-ეს თი-ვისათვის“ სათანადო დახმარების გაწევა და დანართი №1-ით განსაზღვრული რესურსებით უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი N1

1. ტროტილი 0,454 კგ-იანი TNT (ბლოკები)-10 (ათი) კგ.
2. კაფსულ-დეტონატორი /კდ-8/ ალუმინის გარსით-50 (ორმოცდაათი) ცალი.
3. ელ. დეტონატორი /ედპ/ სპილენძის გარსით-30 (ოცდაათი) ცალი.
4. სადეტონაციო ზონარი-100 (ასი) ცალი.
5. 7,62X54 მმ ტყვიამფრქვევი - 3 (სამი) ერთეული (დროებით სარგებლობაში).
6. 7,62X54 მმ ვაზნა "X" ფუჭი - 5000 (ხუთიათასი) ცალი.
7. 7,62X54 მმ ვაზნის ლენტი (200 ვაზნაზე) - 6 (ექვსი) ცალი (დროებით სარგებლობაში).
8. შავი დენთი 10 კგ.